ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 267

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №26-34-ის მიმდებარედ არსებული 2172 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.007.023) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიზნეს თაიმისთვის" (ს/კ: 405185008) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №26-34-ის მიმდებარედ არსებული 2172 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.007.023) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიზნეს თაიმისთვის" (ს/კ: 405185008) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 14 სექტემბრის №20.1053.1332 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №26-34-ის მიმდებარედ არსერბული 2172 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.007.023) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიზნეს თაიმისთვის" (ს/კ: 405185008) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე